საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

ქუთაისი 4600, ირაკლი აბაშიძის გამზირი № 26
პარლამენტის სასახლე

ბრძანება №195/3 30 12 2015 წ.

ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს შექმნის შესახებ

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 107-ე მუხლის „ლ“, „უ[2]“, „ჰ[6]“ ქვეპუნქტებისა და 283[1] მუხლის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების შესაბამისად:

1. საპარლამენტო გამჭვირვალობისა და პარლამენტის სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად შეიქმნას ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

ა) დავით უსუფაშვილი – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე;
ბ) ანზორ ბოლქვაძე – ფრაქციის „დამოუკიდებელი მაჟორიტარები – ძლიერი რეგიონებისათვის“ მდივანი;
გ) გიორგი გაჩეჩილაძე – დამოუკიდებელი პარლამენტის წევრი;
დ) ხათუნა გოგორიშვილი – ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი;
ე) ნინო გოგუაძე – ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარის მოადგილე;
ვ) თემურ მაისურაძე – ფრაქცია „ქართული ოცნება – ეროვნული ფორუმის“ თავმჯდომარის მოადგილე;
ზ) გუგული მაღრაძე – ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი;
თ) მერაბ კაჭახიძე – ფრაქცია „ქართული ოცნება – კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილე;
ი) გიორგი კახიანი – ფრაქცია „ქართული ოცნება – მრეწველების“ წევრი;
კ) თამარ კორძაია – ფრაქცია „ქართული ოცნება – რესპუბლიკელების“ თავმჯდომარის მოადგილე;
ლ) ვახტანგ ლემონჯავა – ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა – რეგიონების“ წევრი;
მ) დავით ჭავჭანიძე – ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა – მაჟორიტარების“ წევრი;

ნ) სერგო ხაბულიანი – ფრაქცია „უპარტიო, დამოუკიდებელი მაჟორიტარების“ წევრი.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP)“ ინიციატივაში საქართველოს პარლამენტის ჩართულობის უზრუნველსაყოფად ინტერფრაქციული ჯგუფის შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2015 წლის 12 თებერვლის №19/3 ბრძანება.

3. ბრძანება ძალაში შედის საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

დავით უსუფაშვილი